

სახალხო დამცველთან არსებული ეროვნულ უმცირესობათა საბჭოს რეკომენდაციები ეროვნული უმცირესობების უფლებების დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის შესახებ

განათლება

▶ **ერთიანი ხედვა** - განათლების სფეროში (სკოლამდელი განათლებიდან დაწყებული უმაღლესი და ზრდასრულთა განათლებით დასრულებული) ჩამოყალიბდეს ერთიანი კონცეპტუალური მიდგომა, რათა ზუსტად ჩანდეს მიზნები, შედეგები და აქტივობები.

სკოლამდელი განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთათვის

- ▶ სკოლამდელი განათლებისა და სასკოლო მზაობის ცენტრებში მულტილინგვური სწავლების შეთავაზება და დანერგვა, ერთიანი სასწავლო მოდელის შემუშავება/დამტკიცება;
- ▶ სკოლამდელი განათლების ცენტრებისთვის მულტილინგვური პედაგოგების მომზადება და მულტილინგვური პედაგოგების მოზიდვა;
- ▶ სკოლამდელი განათლების ცენტრებისთვის ორენოვანი სასწავლო და მეთოდოლოგიური რესურსებისა და დამხმარე სახელმძღვანელოების შედგენა და მიწოდება;
- ▶ ეროვნული უმცირესობების კომპაქტური დასახლებების იმ სკოლებთან, სადაც შესაბამისი მოთხოვნა არსებობს ორენოვანი სასკოლო მზაობის ცენტრების ჩამოყალიბება;
- ▶ სასურველია მუნიციპალიტეტებმა და განათლების სამინისტრომ ყოველწლიურად წარმოადგინონ ინფორმაცია გაწეული საქმიანობის შესახებ;
- ▶ საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, აუცილებელია, სასკოლო მზაობის ცენტრებისა და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების რაოდენობის ზრდის მიზნით გადაიდგას ეფექტური ნაბიჯები;

სასკოლო განათლება

- ▶ სასკოლო სახელმძღვანელოების კვალიფიციური თარგმნა;
- ▶ იმ სკოლებში სადაც არის შესაბამისი მოთხოვნა მულტილინგვური სწავლების დანერგვის ხელშეწყობა;
- ▶ მულტილინგვური სწავლებისთვის საჭირო სახელმძღვანელოების შედგენა და პედაგოგების მომზადება;
- ▶ ეროვნული უმცირესობების ენოვანი სკოლებისთვის პედაგოგების მომზადების და გადამზადებისა გამართული სისტემის ჩამოყალიბება;
- ▶ სკოლებში მაღალპროფესიული პედაგოგების მოზიდვის გამჭვირვალე სისტემის შექმნა; და შესაბამისი ანგარიშის/ინფორმაციი პერიოდული წარმოდგენა
- ▶ გაგრძელდეს ეროვნული უმცირესობების ენოვანი სკოლების რეაბილიტაცია, რემონტი, აღჭურვა;
- ▶ ეთნიკური და რელიგიური მრავალფეროვნების თანაზომიერი და სამართლიანი საკითხის ასახვა სახელმძღვანელოებში;
- ▶ სახელმძღვანელოების შედგენა რეგიონისა და ეთნიკური ჯგუფების სპეციფიკის გათვალისწინებით;
- ▶ სომხურ, აზერბაიჯანულ და რუსულენოვანი სკოლებისთვის მშობლიური ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოების შედგენა და დაბეჭდვა საქართველოს სპეციფიკის გათვალისწინებით;
- ▶ მცირერიცხოვანი ეთნოსების (ოსური, ქისტური, ხუნძური, ასურული, ქურთული, უდიური) მშობლიური ენის სახელმძღვანელოების შედგენა და გამოცემა;
- ▶ მცირერიცხოვანი ეთნოსების (ოსური, ქისტური, ხუნძური, ასურული, ქურთული, უდიური) პედაგოგების მომზადების ხელშეწყობა;
- ▶ სახელმწიფო ენის შესწავლის სისტემის გაძლიერება. პედაგოგების, საჯარო მოხელეების, ბიზნესში ჩართული ადამიანებისა და სხვა დაინტერესებული პირების ხელშეწყობა, წახალისება, სახელმწიფო ენის სწავლების პოპულარიზება;

უმაღლესი განათლება

- ▶ დაფინანსების სისტემის გაზრდა და სასტიპენდიო ფაკულტეტების განსაზღვრა ადგილობრივი სპეციფიკის მიხედვით (პედაგოგი, ექიმი და სხვა);
- ▶ ოსურ და აფხაზურ ენოვანი ტესტის საფუძველზე 1+4 სისტემით ჩარიცხული სტუდენტების უზრუნველყოფა საერთო საცხოვრებლით და სტიპენდიით;

- ▶ 1+4 სისტემისა და სხვა ეთნიკური უმცირესობების სტუდენტებისთვის სტაჟირების პროგრამის შეთავაზება.
- ▶ ბოშებისთვის პროფესიული სწავლების შეთავაზება. მათი მძიმე სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით აუცილებელია, რომ სწავლების პერიოდში ბოშებს სტიპენდია შეთავაზოთ (რითაც ოჯახის საჭიროებების კომპენსაციას მოახდენს და ხელი არ შეეშლება პროფესიის მიღებაში). ბოშებთან კონსულტაციით სასურველია გამოიყოს რამდენიმე ადგილი სხვადასხვა სასწავლებლებში.
- ▶ თბილისისა და სხვა ქალაქების ქართულმა, სომხურმა, აზერბაიჯანულმა და რუსულმა თეატრებმა თავის რეპერტუარში გარკვეული ყურადღება დაუთმონ ეთნოსთაშორის მეგობრობისა და ინტეგრაციის საკითხს. საჭიროების შემთხვევაში სასურველია, რომ აღნიშნული ხელშეწყობილი იყოს განათლებისა და კულტურის სამინისტროს მიერ და საამისოდ გამოიყოს შესაბამისი რესურსები;
- ▶ გაგრძელდეს ეროვნულ უმცირესობებთან დაკავშირებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების ინვენტარიზაციის პროცესი;
- ▶ ხელი შეეწყოს ეროვნულ უმცირესობებთან დაკავშირებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების რეაბილიტაციას და განისაზღვროს კონკრეტული ძეგლები რომელთაც ჩაუტარდებათ რეაბილიტაცია; საჭიროების შემთხვევაში აღნიშნულზე გადაწყვეტილებები არ მიებას ძეგლის მესაკუთრის გადაწყვეტას.
- ▶ ხელი შეეწყოს ეროვნულ უმცირესობებთან დაკავშირებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების ტურისტულ მარშრუტებში შეტანას;

კულტურული თვითმყოფადობის დაცვა

- ▶ კულტურის სფეროში პროგრამები სასურველია განხორციელდეს ორი მიმართულებით: ა. უმცირესობების კულტურის დაცვა და პოპულარიზება; ბ. ინტეგრაციის ხელშეწყობა უმცირესობების და უმრავლესობის კულტურის თანამშრომლობის გზით;
- ▶ საქართველოს იმ ანსამბლებს, თეატრებს და შემოქმედებით ჯგუფებს, რომლებიც სახელმწიფო ბიუჯეტით ფინანსდებიან სასურველია ეთხოვოს, რომ თავის რეპერტუარში გაითვალისწინონ ეთნიკური უმცირესობებისა და ინტეგრაციის თემატიკა (აღნიშნული შესაძლოა გამოინახოს ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში გასტროლებით, სცენაზე ეროვნული უმცირესობების პოზიტიური თვალსაზრისით აღქმის ჩამოყალიბების ხელშეწყობისა და სხვა საშუალებებით). საჭიროების შემთხვევაში სასურველია გამოიყოს დამატებითი რესურსები;

- ▶ თბილისისა და სხვა ქალაქების ქართულმა, სომხურმა, აზერბაიჯანულმა და რუსულმა თეატრებმა თავის რეპერტუარში გარკვეული ყურადღება დაუთმონ ეთნოსთაშორის მეგობრობისა და ინტეგრაციის საკითხს. საჭიროების შემთხვევაში სასურველია, რომ აღნიშნული ხელშეწყობილი იყოს განათლებისა და კულტურის სამინისტროს მიერ და საამისოდ გამოიყოს შესაბამისი რესურსები;
- ▶ გაგრძელდეს ეროვნულ უმცირესობებთან დაკავშირებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების ინვენტარიზაციის პროცესი;
- ▶ ხელი შეეწყოს ეროვნულ უმცირესობებთან დაკავშირებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების რეაბილიტაციას და განისაზღვროს კონკრეტული ძეგლები რომელთაც ჩაუტარდებათ რეაბილიტაცია; საჭიროების შემთხვევაში აღნიშნულზე გადაწყვეტილებები არ მიებას ძეგლის მესაკუთრის გადაწყვეტას.
- ▶ ხელი შეეწყოს ეროვნულ უმცირესობებთან დაკავშირებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების ტურისტულ მარშრუტებში შეტანას;
- ▶ ეროვნული უმცირესობების კულტურის გაცნობა უმრავლესობისთვის (გასტროლებისა და სხვა ღონისძიებების მოწყობა ქართულენოვანი აუდიტორიისთვისაც);
- ▶ ხელი შეეწყოს სოფლებში კულტურის სახლებისა და ბიბლიოთეკების (იქ სადაც ეს შესაძლებელია) რეაბილიტაციას და მათი კულტურულ-საგანმანათლებლო ფუნქციის დაბრუნებას. განისაზღვროს მათი რაოდენობა და ლოკაცია;
- ▶ საერთო ეროვნულ დღესასწაულებზე - დამოუკიდებლობის დღე, ახალი წელი, თბილისობა და სხვა ღონისძიებები ხელი შეეწყოს ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლების მონაწილეობას;
- ▶ ხელი შეეწყოს ეროვნული უმცირესობების ფოლკლორულ ანსამბლებს/ჯგუფებს. ყოველი ეთნოსიდან თითო ანსამბლს მაინც. აღნიშნული ხელშეწყობა შეიძლება გამოიხატოს სასცენო ფორმებით, სარეპეტიო დარბაზით, პედაგოგის ანაზღაურებით და სხვა ფორმით. მხარდამჭერი შესაძლოა იყოს, როგორც განათლებისა და კულტურის სამინისტრო, ასევე ადგილობრივი თვითმართველობა.
- ▶ ხელი შეეწყოს აშუღური პოეზიის დაცვასა და პოპულარიზებას. აღნიშნული შესაძლოა გამოიხატოს ფესტივალის ორგანიზებით, სასწავლო ჯგუფების გახსნით, პედაგოგების მატერიალური ხელშეწყობით და სხვა ფორმით;
- ▶ ხელი შეეწყოს ბორჩალოური ხალიჩების დაცვასა და პოპულარიზებას;
- ▶ საერთო ქვეყნის მამტაბის მოდვანე ეროვნული უმცირესობების საცხოვრებელ სახლებთან გაკეთდეს შესაბამისი საინფორმაციო დაფები-სანიშნები და რელევანტურ ქუჩებს მიენიჭოს მათი სახელი. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ეროვნული უმცირესობებთან დაკავშირებული იმ ქუჩების

სახელწოდებების შენარჩუნება, რაც უკავშირდებოდა შესაბამისი ეთნოსების კულტურულ მემკვიდრეობასა და ტრადიციულ საცხოვრისს. (მაგალითად ფარაჯანოვის, ბერძნის და სხვა ქუჩები თბილისში და სხვაგან).

სოციალ ეკონომიკური და პოლიტიკური ინტეგრაცია და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობა

სახელმწიფო და სამოქალაქო ინტეგრაციის მნიშვნელობისა და აუცილებლობის შესახებ საზოგადოებაში ცნობიერების ამაღლება

საინტეგრაციო პოლიტიკის ეფექტურობისთვის აუცილებელია, რომ გაიზარდოს ინტეგრაციის აუცილებლობისა და მნიშვნელობის შესახებ ცნობიერება, როგორც უმრავლესობაში, ასევე უმცირესობაში. მნიშვნელოვანია, რომ უმრავლესობისა და უმცირესობების წარმომადგენლებმა მკაფიოდ დაინახონ ინტეგრაციის აუცილებლობა, მისი დადებითი მხარეები და გააცნობიერონ აღნიშნულის სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობა. საამისოდ საჭიროა უმრავლესობისა და უმცირესობების წარმომადგენლებს მიეწოდოთ შესაბამისი ინფორმაცია ამ საკითხის შესახებ. აღნიშნული უნდა განხორციელდეს, როგორც ცენტრში, ასევე რეგიონებში. მასში ჩართული უნდა იყოს ყველა რელევანტური სფერო და მიმართულება - განათლება, კულტურა, მედია, რეგიონები, ახალგაზრდობა და სხვა.

გადაწყვეტილების პროცესში მონაწილეობა

- ▶ ეროვნული უმცირესობები არ უნდა იყონ მხოლოდ პასიურ აქტორები. ეროვნული უმცირესობები იდეების გენერირებისა და იმპლემენტაციის ყველა ეტაპზე უნდა იყონ წარმოდგენილი;
- ▶ ეროვნული უმცირესობების მონაწილეობის გაზრდის ხელშეწყობა ეროვნულ უმცირესობებთან დაკავშირებული საკითხების შემუშავებაში, განხორციელებასა და ანგარიშგებაში/მონიტორინგში;
- ▶ მნიშვნელოვანია, ჩამოყალიბდეს ეროვნულ უმცირესობათა საბჭოსა და სახელმწიფო უწყებებს შორის რეგულარული თანამშრომლობა, როგორც გადაწყვეტილების მიღების, ასევე განხორციელებისა და ანგარიშის მომზადების ეტაპზე;

- ▶ გაფორმდეს თანამშრომლობის მემორანდუმები შესაბამის სამინისტროებსა და სახალხო დამცველთან არსებულ ეროვნულ უმცირესობათა საბჭოს შორის;
- ▶ ჩამოყალიბდეს შესაბამის სამინისტროსა და საბჭოს ერთობლივი სამუშაო ჯგუფები, რომელიც პერიოდულად - 3-6 თვეში ერთხელ გამართავს შეხვედრას და გაცვლის ინფორმაციას მიმდინარე და განსახორციელებელი სამუშაოებისა და საკითხების შესახებ (შერიგება, განათლება, ჯანდაცვა, რეგიონული ინტეგრაცია და ინფრასტრუქტურა, ეკონომიკა, სოფლის მეურნეობა);
- ▶ საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების უწყებებში გადაწყვეტილების მიღების პროცესში ეროვნული უმცირესობების პროპორციული და თანასწორი მონაწილეობის ხელშესაწყობად, საქართველოს ხელისუფლებამ ჩამოაყალიბოს ხელვა და კონკრეტული სამოქმედო გეგმა. ეროვნული უმცირესობები უნდა იყონ ჩართული არა მხოლოდ უმცირესობებთან დაკავშირებულ საკითხებზე მუშაობისას, არამედ სასურველია, რომ მათ შესაძლებლობა ჰქონდეთ საერთო-ეროვნულ საკითხებზე დისკუსიასა და გადაწყვეტილების მიღებაში ჩაერთონ;
- ▶ ხელი შეეწყოს სახელმწიფო ენის მცოდნე და შესაბამისი პროფესიული კადრების მონაწილეობის ზრდას ყველა სახელმწიფო უწყებაში;

მედიისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, ანტიდასავლური პროპაგანდის აღმოფხვრა

- ▶ ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში არსებული ანტიდასავლური პროპაგანდისა და ოკუპანტი ქვეყნის (რუსეთის) საინფორმაციო არხების ზეგავლენის აღმოსაფხვრელად ჩამოაყალიბდეს სახელმწიფო სტრატეგია, გამოიყოს შესაბამისი რესურსები და განხორციელდეს საინფორმაციო-საგანმანათლებლო ღონისძიებები და კამპანიები. ეს პროცესი სასურველია, რომ განხორციელდეს სახალხო დამცველთან არსებული ეროვნულ უმცირესობათა საბჭოსთან თანამშრომლობით;
- ▶ ჩამოაყალიბდეს ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების შესახებ ეროვნული უმცირესობების ინფორმირების გამართული სისტემა (ტელე, რადიო, ვები) და ხელი შეეწყოს მისი ხელმისაწვდომობის ზრდას. აღნიშნულისთვის საჭიროების შემთხვევაში მოხდეს ადგილობრივი მედიასაშუალებების და საზოგადოებრივი მაუწყებლის ხელშეწყობა;

გენდერული თანასწორობა

- ▶ ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში გენდერული თანასწორობის საკითხში ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობისთვის აქტიური კამპანიის წარმართვა ადგილობრივი თვითმმართველობების, ჯანდაცვის, განათლებისა და სხვა სამინისტროების მიერ;
- ▶ გენდერული თანასწორობის საკითხში ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობისთვის ეროვნული უმცირესობებით დასახლებული რეგიონების მუნიციპალიტეტების მიერ გარკვეული თანხის გამოყოფა, მათ შორის საგრანტო კომპონენტისთვის. აღნიშნული საკითხი ამჟამად მხოლოდ საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერაზეა დამოკიდებული;
- ▶ გენდერული თანასწორობის საკითხში ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონული სამოქმედო გეგმის შექმნა. გეგმა მორგებული უნდა იყოს რეგიონის სპეციფიკაზე;
- ▶ სტრუქტურული სრულყოფა. საქმიანობის კოორდინაციისა და ეფექტურობის გაზრდის მიზნით სახალხო დამცველის ოფისთან და ეროვნულ უმცირესობათა საბჭოსთან თანამშრომლობით ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონული გენდერული საბჭოების შექმნა, რომლის მუშაობაშიც ჩაერთვებიან რეგიონის თვითმმართველობები, დაინტერესებული სამინისტროები და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები;